სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/06

ქ. თბილისი 14 თებერვალი 2018

თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრისა და ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიის დებულებაში ცვლილებების და მოდიფიცირებული დებულებების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ივ. ჯაგოდნიშვილის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №1 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები წარმოდგენილი სახით და დამტკიცდეს თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მოდიფიცირებული დებულება;
2. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები წარმოდგენილი სახით და დამტკიცდეს ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიის მოდიფიცირებული დებულება;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**